| აქტივები | შენიშვნა | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|---|
| ძირითადი საშუალებები | 12 | 1,789 | 2,211 |
| საინვესტიციო ქონება | 13 | 64,338 | 63,422 |
| ინვესტიცია შვილობილში | 14 | 7,633 | 7,343 |
| ბიოლოგიური აქტივები | | 32 | 32 |
| არამატერიალური აქტივები | | 31 | 10 |
| გაცემული სესხები | 11 | 482 | 833 |
| მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 10 | 394 | 324 |
| გადახდილი ავანსები | | 416 | 30 |
| გადახდილი გადასახადები | 9 | 404 | 478 |
| მარაგები | 8 | 14 | 80 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 7 | 630 | 58 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | - | - |
| **სულ აქტივები** | | **76,163** | **74,821** |
| ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 15 | 1,189 | 62 |
| მიღებული ავასები | 0 | 151 | 19 |
| მოკლევადიანი სესხები | 16 | 514 | 159 |
| გრძელვადიანი სესხები | 16 | 4,650 | 2,300 |
| **სულ ვალდებულებები** | | **6,504** | **2,540** |
| საწესდებო კაპიტალი | | 80,251 | 80,251 |
| გაუნაწილებელი ზარალი | | (10,592) | (7,970) |
| **სულ კაპიტალი** | | **69,659** | **72,281** |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

*10-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

| | | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი | 17 | 2,036 | 1,842 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | 18 | (4,025) | (4,091) |
| **საერთო მოგება** | | **(1,989)** | **(2,249)** |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | 20 | (106) | (100) |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 19 | (500) | (379) |
| **საოპერაციო მოგება** | | **(2,595)** | **(2,728)** |
| წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან | | 11 | 2 |
| სხვა შემოსავალი | | 408 | 134 |
| სხვა ხარჯი | | (163) | (216) |
| ფინანსური შემოსავალი | | 72 | 70 |
| ფინანსური ხარჯი | | (355) | (145) |
| **ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **(2,622)** | **(2,883)** |
| მოგების გადასახადი | | - | - |
| **წლის სრული ზარალი** | | **(2,622)** | **(2,883)** |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|
| 1 იანვარი, 2018 | 80,251 | (5,087) | 75,164 |
| წლის ზარალი | - | (2,883) | (2,883) |
| 31 დეკემბერი, 2018 | 80,251 | (7,970) | 72,281 |
| წლის ზარალი | | (2,622) | (2,622) |
| 31 დეკემბერი, 2019 | 80,251 | (10,592) | 69,659 |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მომხმარებელბისგან მიღებული ფულადი ნაკადები | 2,435 | 2,971 |
| მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები | (3,093) | (2,774) |
| თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები | (231) | (198) |
| დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული ფულადი ნაკადები | 320 | - |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **(569)** | **(1)** |
| გადახდილი გადასახადები | (1,054) | (1,313) |
| მიღებული პროცენტები | 116 | - |
| **წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან** | **(938)** | **(1,313)** |
| **ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობებიდან** | | |
| ინვესტირებული თანხა | (290) | (60) |
| **წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან** | **(290)** | **(60)** |
| **ფულადი ნაკადები ფინანსირების საქმიანობებიდან** | | |
| გაცემული სესხებიდან მიღებული ფული | 2,350 | 1,300 |
| ბანკის საკომისიოზე გადახდილი ფული | - | - |
| **წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება ფინანსირების საქმიანობებიდან** | **2,350** | **1,300** |
| **ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა** | 553 | (74) |
| ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 58 | 125 |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება | 19 | 7 |
| **ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს** | **630** | **58** |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

*10-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

**შპს „აგრომეტი“**

**ფინანსური ანგარიშგება**

*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*
*დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „აგრომეტი“

სარჩევი


დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3-5

*ფინანსური ანგარიშგება*

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 6
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 7
კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 9

*ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3
1. ძირითადი საქმიანობა 10
2. მომზადების საფუძველი 10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 19
5. ფული და ფულის ეკვივალენტები 20
6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 20
7. წინასწარ გადახდილი გადასახადი 20
8. მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 20
9. გაცემული სესხები 21
10. ძირითადი საშუალებები 25
11. საინვესტიციო ქონება 26
12. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში 26
13. ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 27
14. მიღებული ავანსები 27
15. მოკლევადიანი / გრძელვადიანი სესხები 27
16. შემოსავალი 27
17. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 27
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 28
19. საწესდებო კაპიტალი 28
20. ფინანსური რისკების მართვა 28
21. დაკავშირებული მხარეები 31
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 32

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

*შპს „აგრომეტის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას*

***პირობითი მოსაზრება***

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „აგრომეტის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისაგან, ასევე ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადებს ამავე თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

***პირობითი მოსაზრების საფუძველი***

კომპანიის მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 80 ათას ლარს. ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რადგან კომპანიას არ ჩაუტარებია ინვენტარიზაცია. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, ალტერნატიული მეთოდებით მიგვეღო რწმუნება 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შედეგად, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის ძირითადი საშულებები, გარდა სხვა ელემენტებისა, მოიცავს წიგნებს რომელთა ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 277 ათასი ლარი. კომპანია აღრიცხავს წიგნების ჯამურ რაოდენობას, თუმცა ერთიანი რეესტრი ზემოხსენებული აქტივისა არ არსებობს, ამიტომაც ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება ძირითადი საშუალებების ამ ჯგუფის წმინდა საბალანსო ღირებულებაზე და შესაბამის ცვეის ხარჯზე.

***მნიშვნელოვნი გარემოებები***

ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები: ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 22-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომესაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის “*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*” ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

***ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

გელა მღებრიშვილი

თბილისი, საქართველო

31 აგვისტო 2020 წლი

| აქტივები | შენიშვნა | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|---|
| ძირითადი საშუალებები | 12 | 1,789 | 2,211 |
| საინვესტიციო ქონება | 13 | 64,338 | 63,422 |
| ინვესტიცია შვილობილში | 14 | 7,633 | 7,343 |
| ბიოლოგიური აქტივები | | 32 | 32 |
| არამატერიალური აქტივები | | 31 | 10 |
| გაცემული სესხები | 11 | 482 | 833 |
| მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 10 | 394 | 324 |
| გადახდილი ავანსები | | 416 | 30 |
| გადახდილი გადასახადები | 9 | 404 | 478 |
| მარაგები | 8 | 14 | 80 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 7 | 630 | 58 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | - | - |
| **სულ აქტივები** | | **76,163** | **74,821** |
| ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 15 | 1,189 | 62 |
| მიღებული ავასები | 0 | 151 | 19 |
| მოკლევადიანი სესხები | 16 | 514 | 159 |
| გრძელვადიანი სესხები | 16 | 4,650 | 2,300 |
| **სულ ვალდებულებები** | | **6,504** | **2,540** |
| საწესდებო კაპიტალი | | 80,251 | 80,251 |
| გაუნაწილებელი ზარალი | | (10,592) | (7,970) |
| **სულ კაპიტალი** | | **69,659** | **72,281** |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

*10-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

| | | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი | 17 | 2,036 | 1,842 |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | 18 | (4,025) | (4,091) |
| **საერთო მოგება** | | **(1,989)** | **(2,249)** |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | 20 | (106) | (100) |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 19 | (500) | (379) |
| **საოპერაციო მოგება** | | **(2,595)** | **(2,728)** |
| წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან | | 11 | 2 |
| სხვა შემოსავალი | | 408 | 134 |
| სხვა ხარჯი | | (163) | (216) |
| ფინანსური შემოსავალი | | 72 | 70 |
| ფინანსური ხარჯი | | (355) | (145) |
| **ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **(2,622)** | **(2,883)** |
| მოგების გადასახადი | | - | - |
| **წლის სრული ზარალი** | | **(2,622)** | **(2,883)** |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

*10-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

*შპს „აგრომეტი“*
*საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალური ცვლილების ანგარიშგება*
*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*
*(ათას ქართულ ლარში)*

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|
| **1 იანვარი, 2018** | **80,251** | **(5,087)** | **75,164** |
| წლის ზარალი | - | (2,883) | (2,883) |
| **31 დეკემბერი, 2018** | **80,251** | **(7,970)** | **72,281** |
| წლის ზარალი | | (2,622) | (2,622) |
| **31 დეკემბერი, 2019** | **80,251** | **(10,592)** | **69,659** |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

*10-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მომხმარებელბისგან მიღებული ფულადი ნაკადები | 2,435 | 2,971 |
| მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები | (3,093) | (2,774) |
| თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები | (231) | (198) |
| დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული ფულადი ნაკადები | 320 | - |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **(569)** | **(1)** |
| გადახდილი გადასახადები | (1,054) | (1,313) |
| მიღებული პროცენტები | 116 | - |
| **წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან** | **(938)** | **(1,313)** |
| **ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობებიდან** | | |
| ინვესტირებული თანხა | (290) | (60) |
| **წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან** | **(290)** | **(60)** |
| **ფულადი ნაკადები ფინანსირების საქმიანობებიდან** | | |
| გაცემული სესხებიდან მიღებული ფული | 2,350 | 1,300 |
| ბანკის საკომისიოზე გადახდილი ფული | - | - |
| **წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება ფინანსირების საქმიანობებიდან** | **2,350** | **1,300** |
| **ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა** | 553 | (74) |
| ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 58 | 125 |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება | 19 | 7 |
| **ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს** | **630** | **58** |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

31 აგვისტო, 2020
თბილისი, საქართველო

*10-32 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

## 1. ძირითადი საქმიანობა

*შპს „აგრომეტი“* (კომპანია) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2011 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის 100% წილის მფლობელი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არის ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. კომპანიის ძირირთად საქმიანობას წარმოადგენს საინვესტიციო ქონებიდან საიჯარო შემოსავლის მიღება. კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: # 240 დავით აღმაშენებლის ხეივანი, თბილისი, საქართველო. კომპანიის დირექტორი არის თამთა ოტიაშვილი

## 2. მომზადების საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენდეს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებულს ბასს 27 „*ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*“სტანანდარტის მიხედვით.

კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირდება საქართველოში რეგისტრირებულ ა(ა)იპ „ცოდნის ფონდის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს 10 ”*კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*“სტანდარტის შესაბამისად.
ფასს-ის მიხედვით შედგენილი კონსოლიდირებული ფინანასური ანგარიშგება ხელმისაწვდომია საჯარო სარგებლობისთვის.
წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდეგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადბეული იყო ფასს-ის შესაბამისად.

### ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ 2019 წელს გამოიმუშავა 2,622 ათასი ლარის წმინდა ზარალი (2018 წელს 2,883 ათასი ლარი), 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქტივები ვალდებულებებს აღემატება მის ვალდებულებებს 69,401 ათასი ლარით (72,281 ათასი ლარის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიო და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური გარემო შექმნილი ვითარების გამო, გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება სანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენების შემდეგ (იხილეთ შენიშვნა 22) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის და რელევანტურია კომპანიისთვის. წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება.
კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. საინვესტიციო ქონების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული საინვესტიციო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყის ღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა საინვესტიციო ქონების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება უმაღლესი თანხით, შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. საინვესტიციო ქონების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.
ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

| *საინვესტიციო ქონების ჯგუფი* | *სასარგებლო პერიოდის ვადა* |
|---|---|
| მიწა | არ იცვითება |
| შენობა- ნაგებობები | 50 წელი |

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი

ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვდასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარებაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალსიწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.
მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული  სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.
ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზრიდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

| *ძირითადი საშულების ჯგუფი* | *სასარგებლო პერიოდის ვადა* |
|---|---|
| წიგნები | 8 წელი |
| მანქანა დანადგარები | 8 წელი |
| კომპიუტერული ტექნიკა | 8 წელი |
| ავეჯი და მოწყობილობები | 8 წელი |
| მანქანა-დანადგარები | 8 წელი |
| დაუმთავრებელი წარმოება | 8 წელი |
| სხვა | 8 წელი |

### აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება  შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

*თავდაპირველი აღირება*

*აღიარების თარიღი*

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

*თავდაპირველი შეფასება*

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა,

როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

*ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები*

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).
ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

*სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით*

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღრებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

- ¶ ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ¶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცუხლი პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

*ბიზნესმოდელის შეფასება*

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- ¶ როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- ¶ რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- ¶ რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- ¶ მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

*მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება*

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულოებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.
„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).
ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშკერულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშკერულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას

წარმაოდგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

#### მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმეობულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ

კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

#### ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

#### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

*ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

- იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ

აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

*ჩამოწერა*

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.
როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღირება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**შემოსავლისა და ხარჯის აღიარება**

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:
შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

**შემოსავალი**

კომპანიის ძირითად შემოსავალ წარმოადგენს იჯარა და კომუნალური გადასახადები.

**მოგების გადასახადი**

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა მოგებისა აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

**არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება**

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები დაარამტერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი

**3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა

გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

**სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

**წინასწარი გადახდები**

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.
ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორ ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საკონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

**საწესდებო კაპიტალი.**

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება მიღებული თანხით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური

### 3. საანგარიშგებო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| 1 USD/GEL | 2.8677 | 2.6766 |
| 1 EUR/GEL | 3.2095 | 3.0701 |

| *წლის საშუალო გაცვლითი კურსი* | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| 1 USD/GEL | 2.8192 | 2.5345 |
| 1 EUR/GEL | 3.1553 | 2.9913 |

### 4. მნიშვნელოვანი საანგარიშგებო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

***ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები*** კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

***საგადასახადო კანონმდებლობა.*** საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფს მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

**დაკავშირებულია მხარის ოპერაციები**. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

## 5. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შემდეგია:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში | 625 | 52 |
| მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში | 5 | 6 |
| | **630** | **58** |

ფული და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების რეზერვი შექმნილი არ არის მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე.

## 6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2018 წლის 31 დეკემრის მდგომარებით და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვარის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| სამშენებლო მასალები | 9 | 62 |
| დაუმთავრებელი წარმოება | 3 | 3 |
| სხვა მარაგები | 2 | 15 |
| **სულ** | **14** | **80** |

## 7. წინასწარ გადახდილი გადასახადი

კომპანიის მიერ წინასწარ გადახდილი გადასახადი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგნაირად გამოიყურება:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| გადახდილი დღგ | 1,118 | 975 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | (714) | (497) |
| **სულ** | **404** | **478** |

იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო აქტივების და ვალდებულებები აღირიცხება ერთობილვად საგადასახადო კოდექსის მიხედვით, კომპანია ახორციელებს მათ ურთიერთგაქვითვას.

## 8. მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან

კომპანიის მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| საიჯარო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან | 422 | 372 |
| სხვა საიჯარო მოთხოვნები | 232 | 189 |
| მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ | 3 | 4 |
| სხვა მოთხოვნები | 57 | 51 |
| მოთხოვნების ანარიცხები | (320) | (292) |
| | **394** | **324** |

კომპანიის მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| პერიოდის დასაწყისში | 292 | 166 |
| პერიოდის ცვლილება | 28 | 126 |
| **პერიოდის ბოლოს** | **320** | **292** |

## 9. გაცემული სესხები

კომპანიას აქვს გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებთან და ზემოხსენებული ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები | 318 | 629 |
| მისაღები პროცენტი | 164 | 204 |
| **სულ** | **482** | **833** |

გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 11.5-დან 12 % -მდე. დარიცხული მისაღები პროცენტის გადახდა მოხდება სესხის ძირთან ერთად.

## 10. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

| | წიგნები | კომპიუტერული ტექნიკა და ციფრული აპარატურა | ავეჯი და მოწყობილობები | მანქანა/ დანადგარები | დაუმთავრებელი მშენებლობა | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *საბალანსო ღირებულება* | | | | | | | |
| **1 იანვარი, 2018** | **2,312** | **5,996** | **487** | **1,602** | **62** | **33** | **10,492** |
| შესყიდვა | - | 8 | 17 | 36 | 12 | - | 73 |
| გასვლა | - | (64) | - | (3) | (12) | - | (79) |
| **31 დეკემბერი, 2018** | **2,312** | **5,940** | **504** | **1,635** | **62** | **33** | **10,486** |
| შესყიდვა | - | 94 | 6 | 499 | 451 | - | 1,050 |
| გასვლა | - | (14) | - | - | (451) | - | (465) |
| **31 დეკემბერი, 2019** | **2,312** | **6,020** | **510** | **2,134** | **62** | **33** | **11,071** |
| *დაგროვილი ცვეთა* | | | | | | | |
| **1 იანვარი, 2018** | **(1,746)** | **(4,158)** | **(259)** | **(840)** | **-** | **(19)** | **(7,022)** |
| ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში | (289) | (750) | (62) | (202) | - | (4) | (1,307) |
| ცვეთის ამობრუნება | - | 52 | - | 2 | - | - | 54 |
| **31 დეკემბერი, 2018** | **(2,035)** | **(4,856)** | **(321)** | **(1,040)** | **-** | **(23)** | **(8,275)** |
| ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში | (277) | (723) | (64) | (215) | (21) | (4) | (1,027) |
| ცვეთის ამობრუნება | - | 18 | - | 2 | - | - | 20 |
| **31 დეკემბერი, 2019** | **(2,312)** | **(5,284)** | **(385)** | **(1,253)** | **(21)** | **(27)** | **(9,282)** |
| *ნარჩენი ღირებულება* | | | | | | | |
| **31 დეკემბერი, 2018** | **277** | **1,084** | **183** | **595** | **62** | **10** | **2,211** |
| **31 დეკემბერი, 2019** | **-** | **736** | **125** | **881** | **41** | **6** | **1,789** |

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვითული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 2,519 ათას ლარს, 107 ათასი ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## 11. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

| | მიწა | შენობა-ნაგებობა | სულ |
|---|---|---|---|
| *საბალანსო ღირებულება* | - | - | - |
| **1 იანვარი, 2018** | **29,088** | **38,348** | **67,436** |
| შესყიდვა | - | 1,174 | 1,174 |
| გასვლა | (14) | (8) | (22) |
| **31 დეკემბერი, 2018** | **29,074** | **39,514** | **68,588** |
| შესყიდვა | - | 1,701 | 1,701 |
| **31 დეკემბერი, 2019** | **29,074** | **41,215** | **70,289** |
| *დაგროვილი ცვეთა* | | | |
| **1 იანვარი, 2018** | **-** | **(4,388)** | **(4,388)** |
| ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში | - | (779) | (779) |
| ცვეთის ამობრუნება | - | 1 | 1 |
| **31 დეკემბერი, 2018** | **-** | **(5,166)** | **(5,166)** |
| ცვეთის ხარჯი პერიოდის განმავლობაში | - | (785) | (785) |
| **31 დეკემბერი, 2019** | **-** | **(5,951)** | **5,951** |
| *ნარჩენი ღირებულება* | - | - | - |
| **31 დეკემბერი, 2018** | **29,074** | **34,348** | **63,422** |
| **31 დეკემბერი, 2019** | **29,074** | **35,264** | **64,338** |

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილი საინვესტიციო ქონების ღირებულება შეადგენა 579 ათას ლარს, 548 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## 12. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

კომპანიის ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

| | 31 დეკემბერი, 2019 | | 31 დეკემბერი, 2018 | |
|---|---|---|---|---|
| | საკუთრება | თანხა | საკუთრება | თანხა |
| შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები | 100% | 7,633 | 100% | 7,343 |
| | | **7,633** | | **7,343** |

## 13. ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან

კომპანიის ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| მომსახურების ვალდებულება სხვა კონტრაგენტებისგან | 1,125 | 62 |
| ძირითადი საშუალების შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება | 64 | - |
| | **1,189** | **62** |

## 14. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება იჯარიდან მიღებული ავანსებისგან.

## 15. მოკლევადიანი / გრძელვადიანი სესხები

კომპანიის ნასესხები სახსრები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება | 4,650 | 2,300 |
| დარიცხული პროცენტი | 514 | 159 |
| **სულ** | **5,164** | **2,459** |

კომპანიას გაჩნია მიღებულ სესხები დაკავშირებული მხარეებისგან. მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 10-დან 11 % -მდე. დარიცხული პროცენტი წარმოადგენს მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებას.

## 16. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2019 და 2018 წლების მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| საიჯარო შემოსავალი | 1,333 | 1,258 |
| შემოსავალი კომუნალური გადასახადებისგან | 703 | 584 |
| **სულ** | **2,036** | **1,842** |

## 17. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება 2019 და 2018 წლების მდგომარეიბით გამოიყურება შემდეგნაირად:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| ცვეთა და ამორტიზაცია | 1,590 | 1,962 |
| საგადასახადო ხარჯი | 1,193 | 1,215 |
| კომუნალურის ხარჯი | 605 | 530 |
| რემონტის და ტექნიკური მომსახურევბის ხარჯი | 619 | 374 |
| სხვა | 18 | 10 |
| **სულ:** | **4,025** | **4,091** |

## 18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| დაცვის ხარჯი | 192 | 193 |
| პროფესიული მომსახურების ხარჯები | 66 | 77 |
| კომუნიკაციის ხარჯი | 37 | 35 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 202 | 70 |
| სხვა | 3 | 4 |
| **სულ:** | **500** | **379** |

## 19. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 80,251 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით-80,251 ათასი ლარი). 2019 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა.

## 20. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რიკსების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენები და აღწერილია ქვემოთ.

### სავალუტო რისკი

კომპანიის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკურსო სხვაობები.

კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ლარში.

| 31 დეკემბერი, 2019 | ლარი | დოლარი | სულ |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 625 | 5 | 58 |
| გაცემული სესხები | - | 482 | 833 |
| მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 394 | - | 324 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | 1,019 | 487 | 1,215 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | |
| ნასესხები სახსრები | 5,164 | - | 2,459 |
| ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 1,189 | - | 1,189 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | 6,353 | - | 6,353 |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | (5,334) | 487 | |

## 20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

| 31 დეკემბერი, 2018 | ლარი | დოლარი | სულ |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 52 | 6 | 58 |
| გაცემული სესხები | - | 833 | 833 |
| მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 324 | - | 324 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | 376 | 839 | 1,215 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | |
| ნასესხები სახსრები | 2,459 | - | 2,459 |
| ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 62 | - | 62 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | 2,521 | - | 2,521 |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | (2,145) | 839 | |

| | დოლარის კურსის გავლენა 2019 | | დოლარის კურსის გავლენა 2018 | |
|---|---|---|---|---|
| | 30%-იანი ზრდა | 30%-იანი შემცირება | 30%-იანი ზრდა | 30%-იანი შემცირება |
| მოგება/ (ზარალი) | 146 | (146) | 252 | (252) |

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

| | 31 დეკემბერი, 2019 | 31 დეკემბერი, 2018 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 630 | 58 |
| მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წმინდა | 394 | 324 |
| | **1,024** | **382** |

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.
საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას.

კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

## 20. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

| 31 დეკემბერი, 2019 | 1 წელზე ნაკლები | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 394 | - | - | 394 |
| გაცემული სესხები | 164 | 318 | - | 482 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **558** | **318** | **-** | **876** |
| მიღებული სესხები | 514 | 4,650 | - | 5,164 |
| ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 1,189 | - | - | 1,189 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **1,703** | **4,650** | **-** | **6,353** |
| **ლიკვიდურობის გარღვევა** | **(1,145)** | **(4,332)** | **-** | **(5,477)** |
| **კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა** | **(1,145)** | **(5,447)** | **(5,447)** | |

| 31 დეკემბერი, 2018 | 1 წელზე ნაკლები | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 324 | - | - | 324 |
| გაცემული სესხები | 204 | 629 | - | 833 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **528** | **629** | **-** | **1,157** |
| მიღებული სესხები | 159 | 2,300 | - | 2,459 |
| ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 62 | - | - | 62 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **221** | **2,300** | **-** | **2,521** |
| **ლიკვიდურობის გარღვევა** | **307** | **(1,671)** | **-** | **(1,364)** |
| **კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა** | **307** | **(1,364)** | **(1,364)** | |

ლიკვიდურობის რისკის სამართვად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორიცაა ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები ნაკლებია ვიდრე მისი საჭიროება ფულად გასავლებზე.

### კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვა ხორციელდება ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურის საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიის საპროცენტო რისკი მინიმალურია რადგან კომპანიას აქვს სარგებლიანი ფინანსური ინსტრუმენტები და ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

## 21. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან ა(ა)იპ ცოდნის ფონდი და მისი შვილობილი კომპანიები. საანგარიშგებო წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები შედგება:

| | 31 დეკემბერი, 2019 | | 31 დეკემბერი, 2018 | |
|---|---|---|---|---|
| **ურთიერთობა** | **დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი** | **ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია** | **დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსი** | **ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია** |
| **გაცემული სესხები, სრული** | **482** | **482** | **833** | **833** |
| საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები | 482 | 482 | 833 | 833 |
| **მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წმინად** | **11** | **394** | **372** | **324** |
| საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები | 11 | 394 | 372 | 324 |

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები პერიოდის ბოლოს შედგება:

| | | 2019 | | 2018 | |
|---|---|---|---|---|---|
| | **ურთიერთობა** | **დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები** | **ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია** | **დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები** | **ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კატეგორია** |
| **საპროცენტო შემოსავალი** | საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები | 75 | 75 | 70 | 70 |
| **შემოსავალი იჯარიდან** | საერთო კონტროლის პირები | 885 | 1,333 | 941 | 1,258 |

## 22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გაზარდა კაპიტალი 315 ათასი ლარით.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 31 აგვისტოს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა ერთთვიანი საგანგებო მდგომარეობა. ვითარების შედეგად, კომპანია გარკვეული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ამასთან, ზუსტი წინასწარმეტყველების გაკეთება თუ რამდენად იმოქმედებს კრიზისი მის საქმიანობაზე ჯერ კიდევ ნაადრევია. ასევე გაურკვეველია, თუ რამდენი ხანი დასჭირდება კრიზისიდან გამოსვლას. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და შესაბამისად, კორპორატიული გამოცდილება არ არსებობს. თუმცა, ამის მიუხედავად ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოხსენებული ნეგატიური ფაქტორებით გამოწვეული კრიზისი არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.